პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 113 (3852)
1969 წ. 12 ივნისი. ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 25-ე წელი.

გათშმელთა გამარჯვება

გუშინწინ შედგა ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები „ბ" კლასის II ჯგუფის IV ზონაში: „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ნემანი" (გროდნო) 0:2, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (ბათუმი) 0:2. „ფოლადი" (სუმგაითი) — „დინამო" (კიროვაბადი) 1:1, „ალგა" (ფრუნზე) — „ვოსტოკი" (უსტ-კამენოგორსკი) 2:0, „პოლიტოტდელი" (ტაშკენტის ოლქი) — „მეტალურგი" (ჩიმკენტი) 2:2, „ენერგეტიკი" (დუშანბე) — „პამირი" (ლენინაბადი) 2:1, „ნეფტიანიკი" (ფერგანა) — „ზარაფშანი" (ნავოი) 2:1.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესია

საინფორმაციო ცნობა

გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ.

პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი რ. დვალი, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ი. ამიჩბა, გ. გაზაევი და ლ. ხოზრევანიძე.

მთავრობის ლოჟაში სხედან ამხანაგები ვ. მჟავანაძე, პ. როდიონოვი, დ. სტურუა, რ. ფრუიძე, გ. ჩოგოვაძე, გ. ძოწენიძე, შ ჟანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. კუჭავა, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ვასილიევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

პირველ საკითხზე — რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებისთვის სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს, დეპუტატ გ. სიხარულიძეს.

თანამომხსენებით გამოვიდა ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი პ. გელბახიანი.

კამათში გამოვიდნენ: შ. ყარყარაშვილი (ვაკის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ბ. თარბა (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. სოხუმი), დ. დიასამიძე (მახინჯაურის საარჩევნო ოლქი, ქ. ბათუმი), ზ. გასიევი (ზნაურის საარჩევნო ოლქი, ზნაურის რაიონი), რ. მეტრეველი (ველისციხის საარჩევნო ოლქი, გურჯაანის რაიონი), ნ. პესკოვი (საქალაქო საარჩევნო ოლქი, ახალქალაქის რაიონი), მ. ორაგველიძე (ნატანების საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), ს. პავლოვი (ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე), ი. ტოლიაშვილი (რუისის საარჩევნო ოლქი, ქარელის რაიონი), ნ. გაფრინდაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში), ა. აკოფოვა (26 კომისრის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), გ. ხუნდაძე (ფიოლეტოვის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), გ. ჯიბლაძე (კიროვის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ა. ალიევი (ბოლნისის რაიაღმასკომის თავმჯდომარე), ვ. ლოლობერიძე (განთიადის საარჩევნო ოლქი, გაგრის რაიონი), ს. შარაძენიძე (ვაჟა-ფშაველას საარჩევნო ოლქი, ქ. რუსთავი).

მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ გ. სიხარულიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

დღევანდელი სესიის მუშაობა მიმდინარეობს იმ პერიოდში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა საზეიმოდ ემზადება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პროფესიისა და განათლების ადამიანები ერთიანი შრომითი აღმავლობითა და საწარმოო მაჩვენებლების ზრდით ტრადიციისამებრ ეხმაურებიან ამგვარ მოვლენებს. გამონაკლისს, ცხადია, არც ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები შეადგენენ.

ფრიად ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები დღეს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის მსჯელობის საგნად არის ქცეული. ეს კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და კულტურული დასვენების კერების გაფართოებაზე.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენში ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. რომაელი ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით, ჯერ კიდევ 198 წელს იმპერატორ ანტონიუსის მიწვევით რომში ჩასულ ფარსმანს, მის ვაჟსა და იბერიელ წარჩინებულთ ისე მოუხიბლავთ რომაელები მარსის ველზე გამართული ცხენოსნური ვარჯიშებით, რომ იმპერატორმა ანტონიუსმა ცხენზე მჯდომი ფარსმანის ქანდაკება დაადგმევინა მარსის ველზე. ეს ადგილი კი იმით არის ცნობილი, რომ აქ იმართებოდა ძველ რომაელთა დიდი სპორტული თამაშები.

საქართველოში ფიზიკური კულტურის მაღალ დონეს ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ექსპონატები, მდიდარი ლიტერატურული ძეგლები და, რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი".

ეს მცირე ექსკურსი წარსულში იმისათვის დაგვჭირდა, რომ მოვიგონოთ, თუ რა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის ცხოვრება ფიზკულტურასა და სპორტთან. ოდითგან მრავალრიცხოვანი მტრებით გარშემორტყმული ქვეყანა, სამხედრო საქმეში დახელოვნებული და ფიზიკურად გაკაჟებული მეომრებით ახერხებდა საკუთარი თავის დაცვას.

ამხანაგო დეპუტატებო! ვფიქრობ, აუცილებელი როდია ციფრების საშუალებით შევადაროთ ჩვენი დღევანდელი მიღწევები 1921 წლის დონეს, მაგრამ თქვენს ყურადღებას ერთ ფაქტზე მაინც შევაჩერებ. 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სტოკჰოლმში რუსეთის უზარმაზარი იმპერიის სპორტულმა დელეგაციამ, რომელიც 169 კაცისაგან შედგებოდა, არაოფიციალურ ჩათვლაში მხოლოდ მე-16 ადგილი დაიკავა 28 სახელმწიფოს შორის. ამასთან, მათ ვერ შეძლეს თუნდაც ოქროს ერთი მედლის მოპოვება. დღეს კი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში შესულმა მარტო საქართველოს სპორტსმენებმა მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში ბევრად უკეთეს შედეგს მიაღწიეს და ორი ოლიმპიური ჩემპიონი და ოთხი პრიზიორი ჩამოიყვანეს. თუმცა ეს ეპიზოდური წარმატება აღარ არის. 1952 წლიდან მოყოლებული საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში შემავალი ჩვენი რესპუბლიკის 15-18 სპორტსმენი არაფრით არ ჩამოუვარდება მოწინავე სპორტულ დელეგაციებს და თავის მხრივ უკან იტოვებს ისეთი სახელმწიფოების ოლიმპიურ გუნდებს, როგორიც არიან: ავსტრია, ესპანეთი, პორტუგალია, თურქეთი, ირანი, არგენტინა, ბრაზილია, ბელგია და სხვები.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ფიზკულტურა და სპორტი ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში, საფუძველი ჩაეყარა ფიზკულტურული მოძრაობის ისეთ ახალ ფორმებს, როგორიც არის საწარმოო ტანვარჯიში, სამკურნალო ფიზკულტურა, ჯანმრთელობის სახალხო კლუბები და სხვ.

ამხანაგო დეპუტატებო! დღევანდელი სესიის ყველა მონაწილისათვის ნათელია, თუ რას ნიშნავს საწარმოო მაჩვენებლების ზრდა თუნდაც 1 პროცენტით. ეს არის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ გამოშვებული ათასობით ტონა ლითონი, სხვადასხვა ნაკეთობა, დაზგა, მანქანა, ტურბინა, კვების პროდუქტი თუ მატერიალური დოვლათის ნაირსახეობა. ამ მიზნის მისაღწევად ჩვეულებრივ საჭიროა საწარმოს მთელი კოლექტივის მობილიზაცია, ახალი ტექნოლოგია და სხვა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრული სახსრების გაღებას მოითხოვენ.

ყოველივე ამის პარალელურად ჩვენ მოგვეპოვება შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთი აპრობირებული, პრაქტიკით ყოველმხრივ გამართლებული საშუალება, როგორიც საწარმოო ტანვარჯიშია. ერთი პროცენტი რა სალაპარაკოა, როდესაც საწარმოო ტანვარჯიშის საშუალებით მშრომელთა ჯანმრთელობა კაჟდება და შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტამდე იზრდება, და ეს ყოველგვარი მატერიალური დანახარჯების გაუწევლად.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ კოლექტივებში, რომლებშიც დანერგილია საწარმოო ტანვარჯიში, მკვეთრად ეცემა ავადმყოფობის პროცენტულობაც.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშათა 1967-1968 წლების გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ იმ საამქროებში, რომლებშიც რეგულარულად ტარდებოდა საწარმოო ტანვარჯიში, მშრომელთა ავადმყოფობის შემთხვევები 12,8 პროცენტს უდრის, მაშინ, როდესაც დანარჩენ საამქროთა მუშებში დაავადება 23,3 პროცენტამდე ადიოდა. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

სტატისტიკური ცნობებით ჩვენს რესპუბლიკაში დღეისათვის 900 ათასზე მეტი კაცია ჩაბმული საწარმოო ტანვარჯიშში. ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ამ სანიმუშო საშუალებას წარმატებით იყენებენ აგრეთვე თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში (დირექტორი დოლიძე, მეთოდისტი ბოჭორიშვილი), სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკაში (დირექტორი ჩიქოვანი, მეთოდისტი ჯიბლაშვილი), ტრიკოტაჟის კომბინატში (დირექტორი შარიქაძე, მეთოდისტი დუდკინა), ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში (დირექტორი კობალაძე, ინსტრუქტორ-მეთოდისტი სიხარულიძე), თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანაში (დირექტორი გოგიშვილი, მეთოდისტი ფუხარევი), საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში (დირექტორი ხუციშვილი, მეთოდისტი ქელბაქიანი).

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების, აგრეთვე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები სადირექტივო ორგანოების დადგენილებებს გვერდს უვლიან და უგულებელყოფენ საწარმოო ტანვარჯიშის მნიშვნელობას.

ასეთ საწარმოებსა და დაწესებულებებს მიეკუთვნებიან: თბილისის ქარხანა „მიკროძრავი" (დირექტორი გვარიშვილი), სასურსათო მანქანათა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო (დირექტორი ანანიაშვილი), სატრიკოტაჟო ფაბრიკა (დირექტორი ერისთავი), სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი (დირექტორი ბერიძე), ბათუმის სავაგონო დეპო (უფროსი ფირცხალავა) და სხვები.

ზოგან ისეც ხდება, რომ საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი გამოუყენებელია და ეს ფაქტი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის შეუმჩნეველი რჩება. ასე, მაგალითად, დღემდე გაუქმებულია ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი „აჭარგაზის" სამმართველოში (დირექტორი დოლიძე), ბათუმის № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორაში (უფროსი გიორგაძე), სოხუმის მსუბუქ-სატაქსომოტორო პარკში (უფროსი აშხარუა), აფხაზეთის რესპუბლიკურ საავადმყოფოში (მთავარი ექიმი თარბა), ქუთაისის მრეწვავაჭრობაში (უფროსი ჯიბლაძე), გორის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში (უფროსი დალაქიშვილი), გორის უნივერმაღში (დირექტორი გარდაფხაძე). რაც შეეხება გორის ბამბეულის კომბინატს (დირექტორი ცერცვაძე), იქ ყოვლად უსაფუძვლოდ შეამცირეს საწარმოო ტანვარჯიშის ორი მეთოდისტი, ხოლო თბილისის ხელოვნური ბოჭკოს ფაბრიკაში (დირექტორი მახათაძე) მეთოდისტის თანამდებობა საერთოდ გააუქმეს. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ ზემოთქმულიც კმარა.

ამხანაგო დეპუტატებო! ყველას მოგეხსენებათ რაოდენ შრომატევადია და ძნელია ჩაის მკრეფავთა სამუშაო. სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის საწარმოო ტანვარჯიშის ერთ-ერთი პიონერები არიან ქართველი მეჩაიეები. ამ საქმეში მათ უდავოდ დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოს ფიზკულტურის საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, რომლებმაც მწვანე ოქროს მკრეფავებისათვის ტანვარჯიშის სპეციალური სისტემა შეიმუშავეს. ამ კომპლექსმა გაუძლო ყოველგვარ გამოცდას და ჩაის მკრეფავთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებასთან ერთად მკვეთრად აამაღლა მათი შრომის ნაყოფიერება.

თუ გავითვალისწინებთ ჩაის კულტურის მნიშვნელობას ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისათვის, ეს საკითხები ფრიად საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნემ" ფართო პროპაგანდა გაუწია სოფლად საწარმოო ტანვარჯიშის მასობრივად დანერგვის საქმეს, მაგრამ არსებული მდგომარეობა დღეისათვის მაინც მეტს მოითხოვს. აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, აგრეთვე, სოფლის პარტიულმა, კომკავშირულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია გადაჭრით მოვთხოვოთ საწარმოო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებად მიიჩნიონ საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა-განვითარება. კარგი იქნება, თუ ეს აისახება უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიის დადგენილებაშიც.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი პარტია და მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების საკითხებს, მაგრამ როგორც ეს პირდაპირ არის აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1966 წლის აგვისტოს დადგენილებაში, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სხვა ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯეროვნად ვერ აფასებს ფიზკულტურისა და სპორტის როლს ამ პირველხარისხოვანი ამოცანის გადასაჭრელად.

ფიზკულტურისა და სპორტის როლის შეუფასებლობა ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ თანამედროვე საზოგადოებაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ოპერატიული ტიპის სამუშაოები. ადამიანს ახლა სჭირდება ნაკლები ძალა და მოძრაობა — ძირითად საქმიანობას მანქანები ასრულებენ და იქმნება

(დასასრული შიდა გვ.).

ს უ რ ა თ ზ ე: მოხსენებით გამოდის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

დეპუტატ გ. სიხარ

(დასასრული)

შთაბეჭდილება, თითქოს ზედმეტი იყოს ადამიანისათვის ფიზიკური ძალა და გამძლეობა.

ეს თითქოს ერთი შეხედვით ასეც არის, მაგრამ სინამდვილეში, საკითხს ღრმად რომ ჩავუფიქრდეთ, ფიზკულტურასა და სპორტს სწორედ იმ ადამიანებისათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლებსაც ნაკლები მოძრაობა უხდებათ. ეჭვს გარეშეა, რომ ფიზიკური უმოქმედობა და დაძაბული ნერვული სამუშაო არა მარტო აქვეითებს შრომის ნაყოფიერებას, არამედ უდროოდ ფიტავს და აბერებს ორგანიზმს. ეს ბევრისათვის უკვე ნათელია და გასაკვირველი როდია, რომ დღეს სულ უფრო და უფრო იზრდება საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟების ჯგუფები.

უნდა ითქვას, რომ საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებთან მუშაობა განსაკუთრებულ სიფრთხილესა და საქმის ცოდნას მოითხოვს. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ იმ კოლექტივებში, რომლებშიც კვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ, ჯანმრთელობის ჯგუფებში მეცადინეობის მსურველი მრავალია და პირიქით — უხეირო ორგანიზატორისა და სპეციალისტის ხელში საუკეთესო სპორტული დარბაზებიც კი ცარიელია. ცხადია, რომ ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეთოდისტთა მომზადების პროფესიული დონის ამაღლებას. ამ მიზნით ხშირად ატარებენ ხოლმე სპეციალურ კურსებს და სემინარებს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში.

ამხანაგო დეპუტატებო! მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარებისათვის ჩვენი რესპუბლიკა შარშან ზედიზედ მეცხრედ იქნა დაჯილდოებული საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით. მოპოვებული წარმატებებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავთან დაკავშირებით ეს გარდამავალი ჯილდო მუდმივ მფლობელობაში გადაეცა ჩვენს რესპუბლიკას.

ამ წარმატებათა მოპოვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებითა და აქტიური მონაწილეობით. მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ საქმეში თავიანთი მუშაობით გამოირჩეოდნენ თბილისის (თავმჯდომარე ბუხრაშვილი) და ქუთაისის საქალაქო (თავმჯდომარე ცქვიტინიძე), ხაშურის (თავმჯდომარე გუჯეჯიანი), ბათუმის (თავმჯდომარე ბახტაძე), ორჯონიკიძის (თავმჯდომარე რობაქიძე) და სიღნაღის (თავმჯდომარე კრაწაშვილი) რაისაბჭოების აღმასკომები, რომლებმაც ფართო მუშაობა გაშალეს კომპლექსური სპორტული მოედნების შესაქმნელად.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მაიაკოვსკის (თავმჯდომარე ქარჩხაძე), ხობის (თავმჯდომარე ბერაია), წალენჯიხის (თავმჯდომარე კვარაცხელია), წულუკიძის (თავმჯდომარე აბზიანიძე) და სხვა რაისაბჭოების აღმასკომებზე.

შარშანდელი შედეგების მიხედვით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ფიზკულტურის ისეთმა კოლექტივებმა, როგორიც არის: კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის სპორტკლუბი „გამარჯვება“ (დირექტორი ჩიქოვანი), საქალაქო ტრანსპორტის სპორტკლუბი „სინათლე“ (დირექტორი ჩიკვაიძე), ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (რექტორი, პროფესორი ბუაჩიძე), რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბი „ფოლადი“ (დირექტორი შარაძენიძე), ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატი (დირექტორი ბალანჩივაძე), ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (დირექტორი დოლიძე), სოხუმის საგალანტერიო ფაბრიკა (დირექტორი გვაზავა), გორის პედაგოგიური ინსტიტუტი (რექტორი ხარაული), დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტკლუბი „დილა“ (დირექტორი მიქაძე), მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობა (თავმჯდომარე წითლიძე) და სხვები.

ამ მოწინავე კოლექტივთა საქმიანობის ფონზე კიდევ უფრო კონტრასტულად ჩანს ფიზკულტურულ კოლექტივთა არადამაკმაყოფილებელი და მოუქნელი მუშაობა აგარის შაქრის კომბინატში (დირექტორი ტაბუცაძე), სადაც ფიზკულტურის კოლექტივისათვის გამოყოფილი ერთადერთი ოთახიც კი გააუქმეს, მცხეთის ხისდამამუშავებელ კომბინატში (დირექტორი გელაშვილი), „საქელექტრომონტაჟში“ (დირექტორი პეტრიაშვილი), სოხუმის ტყავფეხსაცმლის ფაბრიკაში (დირექტორი ბერიძე), მეტროლოგიის ინსტიტუტში (დირექტორი ზედგინიძე), ასპინძის რაიონის სოფელ დამალის კოლმეურნეობაში (გამგეობის თავმჯდომარე ნაჰაპეტიანი), ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ბიბილეიშვილი). ამ კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტის ინსტრუქტორ-მეთოდისტები არა ჰყავთ და არავითარი სპორტული ბაზა არ გააჩნიათ.

ცუდი მდგომარეობაა ქარელის რაიონში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ რიგ ფიზკულტურულ კოლექტივებში, სადაც თვითდინებაზეა მიშვებული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა და არც გასაკვირია, რომ სპორტული შეჯიბრებებიც აქ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს.

ასეთი მდგომარეობა აღნიშნული რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებისა და კომკავშირული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია. ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი მუდმივმოქმედი კომისიები სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ მუშაობის ისეთ მნიშვნელოვან უბანს, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებას ემსახურება. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები ინიციატივას არ იჩენენ ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად.

ამხანაგო დეპუტატებო! უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულთა ასაკობრივი დიაპაზონი. ატარებენ რა ცხოვრებაში პარტიისა და მთავრობის მითითებებს, ამჟამად ფიზკულტურის დანერგვას იწყებენ უკვე სკოლამდელი ასაკიდან. ამ მიმართულებით ჩატარებულმა მუშაობამ პირველივე წლებში დაგვარწმუნა, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს საქმე. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის მეცნიერულ გადაჭრაზე კარგა ხანია დიდ მუშაობას ეწევიან საქართველოს ფიზკულტურის სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ნორმალური ფიზიკური განვითარებიდან გადახრას გარკვეულ პროცენტამდე საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი სკოლამდელ ასაკში. ეს, რასაკვირველია, იმის შედეგია, რომ ფიზიკური აღზრდა არასათანადო დონეზეა დაყენებული სკოლამდელ ასაკში. თვითონ განსაჯეთ, რას უნდა მივაღწიოთ იმ 18-25 წუთის განმავლობაში, რასაც არსებული პროგრამები კვირაში ფიზკულტურის ერთადერთი გაკვეთილის ჩატარებით ითვალისწინებენ.

თბილისის საბავშვო ბაღებში წლების მანძილზე წარმოებულმა პედაგოგიურმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებამ და კვირაში ერთჯერადი მეცადინეობის ნაცვლად სამჯერადმა მეცადინეობამ 20-24 წუთის ხანგრძლივობით, რომლის დროსაც ფართოდ იყენებდნენ ქართულ ხალხურ მოძრავ თამაშებს, მნიშვნელოვნად გააჯანსაღა სკოლამდელთა კონტინგენტი. ეს აისახა სამედიცინო შემოწმებაშიც.

მოყვანილი ფაქტები ბევრზე მეტყველებენ. დღეისათვის ჩვენი ბავშვები მნიშვნელოვნად სჯობიან 20-30 წლის წინანდელ თანატოლებს სიმაღლით, წონითა და სხვა მაჩვენებლებით.

გასაგებია, რომ დღევანდელი ბავშვი უფრო ადრე ვითარდება და საჭიროა ყოველნაირი ხელშეწყობა მისი ნორმალური ზრდისათვის. მთავარი საშუალება აქ ფიზიკური ვარჯიშებია და უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური განვითარებიდან გადახრის გამოსწორება სკოლამდელ ასაკში უფრო ადვილია, ვიდრე შემდგომში. მიზანშეწონილი იქნება, თუ სესიის დადგენილებაშიც აისახება ეს საკითხები.

ამხანაგო დეპუტატებო! ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სადაც ხელმძღვანელი ორგანოები დაინტერესებული არიან ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობით და შეუძლიათ მათში აქტიურობის გაღვივება, იქ წარმატებაც გვაქვს.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს თბილისისა და გორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, რომლებმაც თავიანთ სესიებზე განიხილეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები და პრაქტიკული ღონისძიებანი დასახეს მათ გასაუმჯობესებლად.

ყურადღების ღირსია თბილისის პირველი მაისისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, აგრეთვე, ქუთაისის პარტიული ორგანიზაციების ინიციატივა ჩააბან ახალგაზრდობა ეზოებსა და სახლმართველობებთან სპორტული მოედნების მოწყობაში.

სპორტნაგებობათა ქსელის ამგვარად გაფართოება ხელს უწყობს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებას და, რაც მთავარია, კულტურული დასვენების პირობებს უქმნის ახალგაზრდობას, ჩამოაშორებს მას ქუჩაში უმიზნოდ დროსტარებას და ააცილებს აქედან გამომდინარე ყოველგვარ არასასურველ შედეგებს.

ზემოთ აღნიშნული რაიონების კიდევ ერთი ინიციატივაა ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობისათვის ისეთი პროგრესული ფორმების შემოღება, როგორიც ჯანმრთელობის სახალხო კლუბებია. დიღმის მასივში შეიქმნა სპორტკლუბი „დილა“, ხოლო ორჯონიკიძის რაიონში — „დელისი“. ამ პიონერებს გამოეხმაურა ქუთაისის ავტოქარხნელთა საცხოვრებელ მასივში შექმნილი „რიონიც“. მიუხედავად ამისა, ამ შესანიშნავმა წამოწყებამ გამოძახილი ვერ ჰპოვა ისეთ მსხვილ ცენტრებშიც კი, როგორიც არის: სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი, ტყიბული, ჭიათურა, ზუგდიდი, ზესტაფონი, თელავი, რუსთავი, ბორჯომი და სხვ.

როცა საუბარი ეხება სპორტული ნაგებობების მშენებლობას ეზოებსა და სახლმართველობებთან, ხშირად გაიგონებთ საჩივარს მოედნისათვის აუცილებელი ფართის უკმარობაზე. გასაგებია, რომ ყველგან და განსაკუთრებით ძველ დასახლებებში შესაძლებელი არ არის თუნდაც ფრენბურთის ერთი მოედნისათვის საჭირო ადგილის გამოძებნა. ეს ჩვენთვის ნათელია, მაგრამ გაუგებარია, რატომ ირღვევა უხეშად ყველა ახალდასახლებაში გათვალისწინებული სპორტული მოედნების მოწყობის სახელმწიფო ნორმები. გამოუყენებელია ის შესაძლებლობებიც კი, რომლებიც გვაქვს.

მოვიყვან ერთ მაგალითს: თბილისში, გურამიშვილის ქუჩაზე, რომელიც იპოდრომის მეზობლად მდებარეობს, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აშენდა მრავალსართულიანი რვა საცხოვრებელი სახლი, რომლებშიც დაახლოებით 500 ოჯახი ცხოვრობს. ამ მოსახლეობიდან სულ ცოტა 350-400 ბავშვია.

ეს უზარმაზარი ეზო შეიძლება გადაქცეულიყო ბავშვთა დასვენებისა და გართობის საუკეთესო ადგილად, მაგრამ სინამდვილეში მივიღეთ სულ სხვა სურათი. იმ სპორტული მოედნის ნაცვლად, რომელთა დაპროექტებაც საზოგადოებრივ საწყისებზე უნდოდათ ერთ-ერთ სახლში მცხოვრებ საკონსტრუქტორო ბიუროს წევრებს, ეზოს დიდი ნაწილი გადაკეთდა გაზონად, კერძო ბაღ-ბოსტნებად და ავტომანქანების ინდივიდუალურ მფლობელთა რამდენიმე ათეულ გარაჟად.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელობას ჩვენ სამაგალითოდ ვთვლით ბავშვებზე ზრუნვისა და ეზოს სპორტული მოედნების მშენებლობის საქმეში. ამიტომ უფრო საწყენია, რომ სწორედ ამ რაიონში და ისიც ქალაქის ცენტრში რამდენიმე ასეული ბავშვია მოკლებული სპორტში მეცადინეობის ელემენტარულ შესაძლებლობას.

სახლმართველობებთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლის ერთ-ერთი ხელშემშლელი მიზეზი ფინანსური სიძნელეებია, მაშინ, როდესაც არის საკმაო თანხები, რომლებიც სპორტული ნაგებობების მშენებლობასა და მათ კეთილმოწყობას უნდა ხმარდებოდეს. მაგრამ იმის გამო, რომ თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს აქამდე არ დაუწესებიათ მკაცრი კონტროლი ბინის ქირის ორპროცენტიანი და არასაცხოვრებელი სადგომების ხუთპროცენტიანი საიჯარო გადასახადის გადარიცხვათა მიზნობრივ ხარჯვაზე, ამ თანხების გამოყენება არ ხდება დანიშნულებისამებრ, თუმცა რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დადგენილებებში კონკრეტულად მითითებულია, რომ ეს თანხა მიზნობრივ ხარჯებს უნდა ხმარდებოდეს.

მართალია, თბილისის აღმასკომმა ამ საკითხზე ჯერ კიდევ 1967 წლის პირველ მარტს მიიღო თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ გადაწყვეტილებაში კონკრეტულად არ მიუთითებია, თუ რაზე უნდა იხარჯებოდეს საქალაქო და რაიონულ აღმასკომებში უშუალოდ შემოსული გადანარიცხები. ამის შედეგად სპორტული მოედნების მშენებლობისათვის გათვალისწინებულ თანხებს იყენებენ არა იმ დანიშნულებით, რომელიც დადგენილებაშია აღნიშნული, და ახმარენ სხვადასხვა კულტმასობრივი ღონისძიების ჩატარებას. რაც შეეხება არასაცხოვრებელი სადგომებიდან ხუთპროცენტიანი გადარიცხვის მიზნობრივი დანიშნულებით ხარჯვას, იგი საერთოდ არ ყოფილა თბილისის აღმასკომის დადგენილებებში.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებსა და სახლმართველობებთან შემოღებულია პედაგოგ-ორგანიზატორის საშტატო თანამდებობა, რომლის უშუალო მოვალეობაა მოსახლეობაში კულტმასობრივი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაცია.

ყოველივე ამის მიუხედავად, თბილისის საბინაო სამმართველო უყურადღებოდ ტოვებს ჩვენს მრავალგზის თხოვნას და არ გზავნის პედაგოგ-ორგანიზატორების თანამდებობაზე ფიზკულტურის სპეციალისტებს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდათა თაოსნობა საკუთარი ძალებითა და სახსრებით აეგოთ სპორტული ბაზები.

აღნიშნულ რაიონებში საკმაო წარმატებებს მიაღწიეს და სოფლის მშრომელებს საშუალება მიეცათ ორგანიზებული დასვენებისათვის.

ამან გარკვეული როლი შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდასა და დისციპლინის განმტკიცებაში. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ სწორედ ამ და ზოგიერთ სხვა რაიონში ახალგაზრდობა ყოველთვის ნახულობს თავისთვის საინტერესო საქმეს და საკუთარი სოფლიდან არ ილტვის რაიონული ცენტრისა და ქალაქისაკენ.

სამწუხაროდ, ამ კარგ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა ყველა ქალაქმა და რაიონმა; ასე, მაგალითად, ბოლნისის რაიონში სპორტული სექციების მეცადინეობისათვის ვარგისი არც ერთი სპორტული დარბაზი არა აქვთ, ხოლო არსებული სტადიონი და რამდენიმე მარტივი ტიპის მოედანი გაპარტახებამდეა მისული. ეს ხდება რაიონში, სადაც 12 ათასზე მეტი მოსწავლეა. ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ წლებში ამ რაიონში არ იკლო ახალგაზრდებიდან დანაშაულობის ჩამდენთა რიცხვმა.

ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა მშრომელთა დასვენების საკითხებს ბოგდანოვკის, მაიაკოვსკის, მარნეულის, ხობის, გორის, ლაგოდეხის, თეთრი წყაროს, თიანეთის, წალენჯიხის, ზნაურის, გულრიფშის, შუახევისა და სხვა რაიონებში.

ამხანაგო დეპუტატებო! პარტიამ დაგვისახა ამოცანა „გავხადოთ ფიზკულტურა და სპორტი მოსახლეობის ცხოვრების ნაწილად“. ამის განსახორციელებლად უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება და შესაძლებლობა. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მისაწვდომი, მძლავრი და სასარგებლო საშუალებაა ტურიზმი, ლაშქრობები, ექსკურსიები, კოცონთან გატარებული საღამოები და ღამისთევა კარვებსა თუ ღია ცის ქვეშ, რაც ენერგიითა და ხალისით ავსებს მშრომელ ადამიანს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს ტურიზმის სამმართველომ აუცილებლად უნდა გადაწყვიტონ საკითხი თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მიდამოებში ქვეითად მოსიარულეთათვის მეცნიერულად დასაბუთებული მარშრუტების შემოსაღებად.

მომავალი თაობის კომუნისტურ აღზრდაში უდიდესი როლი ენიჭება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. ეს არის კომუნიზმის მომავალი მშენებლების იდეოლოგიური მომზადების ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები უბანი. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მრავალი სკოლა, რომლებშიც ჩინებულად არის დაყენებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა. ასეთთა შორის არიან: სპორტული დარბაზის და კომპლექსური მოედნის მქონე თბილისის 77-ე სკოლა (დირექტორი კობახიძე), სადაც რეგულარულად მუშაობენ სექციები სპორტის სახეობათა მიხედვით, თბილისის პირველი სკოლა (დირექტორი კიკვაძე), 32-ე სკოლა (დირექტორი ლაშაური), ქობულეთის რაიონის პირველი რუსული სკოლა (დირექტორი კიტელაშვილი), ზესტაფონის რაიონის პირველი სკოლა (დირექტორი ლომიძე), მახარაძის რაიონის მესამე სკოლა (დირექტორი დოლიძე), ქ. სოხუმის მესამე სკოლა (დირექტორი თარბა), თელავის რაიონის პირველი სკოლა (დირექტორი ბოჭორიძე) და სხვ. ამ სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, სპორტული ბაზების მშენებლობასა და მათი სათანადო ინვენტარით აღჭურვას. მაგრამ, სამწუხაროდ, მოწინავე კოლექტივთა პარალელურად შეგვიძლია დავასახელოთ სკოლები, რომელთა ხელმძღვანელები ჯეროვნად არ ეკიდებიან მოსწავლეთა კონტინგენტის ფიზიკურ გაჯანსაღებას. ასეთთა შორის არის ზესტაფონის მეორე საშუალო სკოლა (დირექტორი ბაშალეიშვილი), რომელშიც საკლასო ოთახების მიშენებასთან დაკავშირებით სრულიად გააუქმეს სპორტული ბაზები და მოსწავლეებს ფიზკულტურის გაკვეთილზე ყოფნა უხდებათ ნახევრად სარდაფის მსგავს დერეფანში, რომელიც სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების ელემენტარულ პირობებსაც ვერ აკმაყოფილებს.

ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლის სპორტული დარბაზის დანგრეულ იატაკს ახლა ისიც დაემატა, რომ ამავე დარბაზის გასახდელები და საშ პე ბუფეტის საწყობ [illegible] გადააკეთეს. ამ ქალაქის მთელ რიგ სკოლებში არ იცავენ ფიზიკური აღზრდის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხო ნებს და მოსწავლენი ფიზიკურად მოუმზადებელ არიან. ცალკეულ სკოლათა ხელმძღვანელები ა ესწრებიან ფიზკულტურის გაკვეთილებს და ა განიხილავენ ფიზკულტურასთან დაკავშირებულ სა კითხებს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. არადამა კმაყოფილებლად არის დაყენებული ფიზიკურ აღზრდა ქარელის რაიონის სკოლებშიც. ქუთაისი მე-6 საშუალო სკოლის ხელმძღვანელობა (დირექ ტორი კორძაძე) იქამდეც კი მივიდა, რომ სკო ლის სპორტულ დარბაზში სამხედრო კომისარი ტის მუშაკთა სასადილო მოაწყეს. ახალქალაქ პირველ საშუალო სკოლაში სპორტული ბაზ უქონლობის გამო ერთიორად მცირდება სასწავლ სპორტული საქმიანობა ზამთრობით.

ამბროლაურის რაიონის სოფლებში ჭელიაღ ლესა და ჭყვიშში, ცაგერის რაიონის სოფლებ ტვიშში, ორბელში, აგრეთვე, ვანის რაიონის სოფ ლებში ამაღლებაში, შუაგორასა და სალხინო ახალი სკოლები საექსპლოატაციოდ გადაეცა ი რომ სპორტული დარბაზები არა აქვთ, რაც სად რექტივო ორგანოების დადგენილებათა უხეში და ღვევაა.

მრავალ სკოლაში ნაკლებად ზრუნავენ გამაჯ საღებელ ღონისძიებებზე. სპორტულ მეცადინეობ ში აბამენ მხოლოდ პერსპექტიულ მოსწავლეებს ფიზკულტურული საქმიანობის მიღმა რჩებიან ს სტი ჯანმრთელობის ბავშვები, რომელთა ორგანი მი ყველაზე მეტად საჭიროებს სპეციალურ სა კურნალო ფიზკულტურას.

ჩვენში ცუდად მიმდინარეობს ბავშვთა სახ ლო სტადიონების, დარბაზების, საცურაო აუზ ბისა და სხვა სპორტულ ნაგებობათა გეგმაზომიერ მშენებლობა. ეს ეხება როგორც საწარმოო, ი სპორტულ სკოლებს. რესპუბლიკის 1646 დაწყებ თი სკოლიდან მხოლოდ ორს აქვს სპორტული და რბაზი, 1171 რვაწლიანი სკოლიდან — 82- ხოლო 1382 საშუალო სკოლიდან — 565-ს. რო გორც ხედავთ, კომენტარი აქაც ზედმეტია!

ამხანაგო დეპუტატებო! სპორტული ბაზებ ასეთი სიმცირის გამო არსებული ნაგებობანი მაქს მალურად უნდა იყოს დატვირთული, მაგრამ სი ნამდვილეში ასე არ არის. ჩატარებულმა გამოკვლ ევებმა ცხადყო, რომ თბილისის თითქმის ყვე სკოლაში კლასგარეშე მუშაობა მხოლოდ დღ საათებში მიმდინარეობს და საღამოობით დარბაზები ცარიელია. ან კი რა მუშაობა უნდა ტ რდებოდეს, თუ მათ უმრავლესობაში განათების ს სტემა წესრიგშია მოსაყვანი და არც სანიტარულ ჰიგიენური პირობებია დაცული. როგორც წე განათება არ არის მთელ რიგ ღია მოედნებზე. საგანგაშო ფაქტია. საქმე მარტო ის კი არ არ რომ ფაქტიურად მეცადინეობა არ ტარდება ზოგიერთი მწვრთნელი უშრომლად ითბობს ხელ არა, მთავარი ის არის, რომ ჩვენ საშუალება ა გერჩება მოვწყვიტოთ ქუჩას ახალგაზრდობის დი ნაწილი და ჩავაბათ იგი საქმეში. უამისობა ხელს უწყობს ბავშვთა შორის დანაშაულობ ზრდას.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში დღითიდ იზრდება სპორტულ სკოლა-ინტერნატთა ქსელ რასაც დასაბამი სწორედ საქართველოში მი ჩვენს გამოცდილებას მაშინ წარმატ ბით იზიარებდნენ მოკავშირე რესპუბლიკები, მ რამ დღეისათვის ჩვენი ორივე სკოლა-ინტერნატ მუშაობა არაეფექტურია. თანამედროვე სპორტუ მიღწევების ზრდა დაკავშირებულია საწვრთნე მეცადინეობისა და ფიზიკური დატვირთვის გან ზღვრულ მომატებასთან. ამ სკოლებში უნდა ხდე დეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონ ბის საუკეთესო სპორტული მონაცემების მქონე ბა შვთა შერჩევა და ამ ამოცანის გადასაწყვეტად ს თანადო პირობებიც უნდა არსებობდეს.

ამხანაგო დეპუტატებო! ფიზკულტურა და სპ რტი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ა რეთვე, საშუალო სპეციალური და პროფტექნ რი განათლების სისტემის მოსწავლეთა სასწავლ აღმზრდელობითი მუშაობის ორგანულ ნაწილ იქცა. რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენთა რი ბში მრავალი სტუდენტი და მოსწავლეა, მაგ ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზუ ნაკლოვანებები. საგრძნობლად დაბალ დონ სპორტსმენთა მომზადება საშუალო სპეციალ სასწავლებლებში. სპორტსაზოგადოება „შრომ რეზერვების“ წარმომადგენლები ნაკლებად არ რესპუბლიკის ნაკრებში და სპორტული მომზა ბის დონითაც არ გამოირჩევიან. სამწუხაროა, მ რამ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ტექნიკუმებ სტუდენტები საკავშირო სარბიელზე ბოლო ად ლებზე გამოდიან, მაშინ, როცა ფიზკულტურ სპორტული მუშაობის დანარჩენ რგოლებში საქა თველოს სტუდენტი სპორტსმენები ყოველთვის მ წინავე რიგებში არიან.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად ა დაყენებული ფიზკულტურულ-სპორტული მუშ ბა თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში (დ რექტორი კუპატაძე), კოოპერაციულ ტექნიკუ (დირექტორი ლეკიშვილი), ბორჯომის სატ ტექნიკუმში (დირექტორი ხაჩიძე), ბათუმის მედიცინო სასწავლებელში (დირექტორი ჩი ნოვაძე), ქუთაისის მუსიკალურ სკოლაში (დი ქტორი განუგრავა) და სხვა სპეციალურ სას ლებლებში.

უმაღლეს სასწავლებლებში უკეთესი მდგომარ ბაა, მაგრამ იქაც გარკვეულ დაბრკოლებებ გვაქვს საქმე. ასე, მაგალითად, სპორტული ბა ბის სიმცირის გამო დღემდე ვერ სრულდება სა რექტივო ორგანოთა გადაწყვეტილება პირვე მეოთხე კურსებზე ფიზკულტურის სავალდებ აკადემიური მეცადინეობის შემოღების შესახებ მსხვილ უმაღლეს სასწავლებლებში, როგორიც თ ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ლე სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტია. დღ ჭიანურდება შესრულება გადაწყვეტილებებისა დღეს სასწავლებელთა სპორტული ბაზების მშ ლობის შესახებ.

ასევე ჭიანურდება შესრულება გადაწყვეტ სა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო ა შენებლობის შესახებ. დღეისათვის ამ ობიე

ლიძის მოხსენება

გათვალისწინებული სამუშაოების 20 პროცენტიც არ არის შესრულებული, ხოლო ამავე ინსტიტუტის ტერიტორიაზე სასწავლო კორპუსების მშენებლობასთან დაკავშირებით დაანგრიეს კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, ხოლო ფეხბურთის მოედანი და მძლეოსნური სექტორები სამშენებლო მასალითა და ნაგვით არის დაფარული. მოგაგონებთ, რომ ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდები „ა“ კლასის გათამაშებაში მონაწილეობს, სტუდენტებს კი ვარჯიში სხვის მოედანზე უხდებათ. ფიზაღზრდის რა დონეზე უნდა ვილაპარაკოთ სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტში, როდესაც იქ არა თუ სპორტული, არამედ აკადემიური მეცადინეობის ჩატარებაც კი არ შეიძლება. ჯერ კიდევ 1964 წელს დაწყებული სპორტული დარბაზის მშენებლობა დღემდე ჭიანურდება და ბოლო არ უჩანს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მესამე კურსიდან დაწყებული იქ სტუდენტთა შორის არავითარი სპორტული მეცადინეობა არ ტარდება.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში არის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრა, რომელიც ძალიან მძიმე პირობებშია და 30 წელია იმყოფება ქალაქის პირველი საავადმყოფოს ბარაკში. რასაკვირველია, მისი მუშაობის ნაყოფიერებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

არადამაკმაყოფილებელია მუშაობა საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-საკვლევ ინსტიტუტში. აქ დღემდე აჭიანურებენ სპორტული ბაზების მშენებლობას. და აი, ნაყოფიც: ამ უმაღლესმა სასწავლებელმა ვერ შეძლო თუნდაც ერთი სპორტსმენი მიეცა რესპუბლიკის ნაკრები გუნდისათვის. ამაში, რასაკვირველია, ბრალი მიუძღვით ამ სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა რესპუბლიკამ საზეიმოდ აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილე. უნივერსიტეტის სტუდენტ-სპორტსმენებს არაერთხელ დაუკავებიათ საპრიზო ადგილები სტუდენტთა საკავშირო სარბიელზე, ჰქონდათ საკავშირო პირველობაც. მაგრამ დღეს აქ საგანგაშო მდგომარეობაა. საგრძნობლად მოადუნა მუშაობა ფიზიკური აღზრდის კათედრამ (გამგე ზაუტაშვილი) და სპორტულმა კლუბმა (თავმჯდომარე ლომოური), დაბალ დონეზე ტარდება აკადემიური მეცადინეობა და ადრინდელი აქტივობის ნიშანწყალიც არა ჩანს. არსებული ბაზები ვერ უზრუნველყოფენ აკადემიურ მეცადინეობას და სპორტული მუშაობა საკმაოდ შეზღუდულია. ჩვენდა სამწუხაროდ უნივერსიტეტის კორპუსების ახალმშენებლობათა პერსპექტივაშიც კი არა ჩანს რაიმე სპორტული ბაზები.

ჩვენ ადრეც აღგვინიშნავს, რომ რესპუბლიკის სკოლებში ადგილი ჰქონდა ფიზაღზრდის მეცადინეობიდან მოსწავლეთა დაუსაბუთებლად განთავისუფლების ფაქტებს, რამაც უკვე საგრძნობლად იკლო. მაგრამ ახლა წამოიჭრა ახალი პრობლემა. მაგალითად, უნივერსიტეტის პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტებიდან მხოლოდ 33 მოსწავლე იყო განთავისუფლებული სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილებიდან, უნივერსიტეტის პირველივე კურსზე კი მათმა რიცხვმა 437-ს მიაღწია. ეს დაუშვებელი მდგომარეობა მხოლოდ ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელთა საქმისადმი ზერელე მიდგომას უნდა მიეწეროს. ვფიქრობთ, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები აქტიურად უნდა ჩაებან ამ საქმეში, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის ფიზაღზრდის კათედრის ხელმძღვანელობა მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს სტუდენტთა ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმის საქმეს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული ბაზების ნაკლებობის გამო ყველგან ვერ ტარდება სასწავლო პროცესით გათვალისწინებული აკადემიური მეცადინეობა. ამასთან, ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კეთილმოწყობილ მძლეოსნურ სტადიონზე დაწყებულია სამკურნალო კორპუსის მშენებლობა. ჩვენი აზრით, ეს სტადიონი უნდა დარჩენილიყო მძლეოსანთა მომზადების ბაზად, ხოლო აღნიშნული კორპუსისათვის შეიძლებოდა სხვაგან გამოენახათ ადგილი. აქვე სპორტთამაშების საუკეთესო დარბაზი სასადილოდ გადაკეთდა, ხოლო საშხაპეები გააუქმეს. სამხერხაოდ იქნა გადაკეთებული ტანვარჯიშისა და ჭიდაობის დარბაზი.

აი ასე, ხელის ერთი მოსმით უქმდება სპორტული ბაზები, რომელთა აშენებას წლები დასჭირდა. აი, ასე არ სრულდება სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილება სპორტული ბაზების მხოლოდ სათანადო მიზნით გამოყენების თაობაზე.

ამხანაგო დეპუტატებო! მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში მოპოვებულმა მიღწევებმა უზრუნველყვეს საქართველოს სპორტსმენთა წარმატება საბჭოთა კავშირის ხალხთა ოთხივე სპარტაკიადაზე, მათ შორის, IV საიუბილეო სპარტაკიადაში. საქართველოს სპორტსმენებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები გუნდების გამოსვლაში მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში. თუმცა უნდა ითქვას, რომ არ გაგვიკეთებია ყველაფერი, ის, რისი გაკეთებაც შეგვეძლო. ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური დელეგაციისათვის საქართველოს უნდა მიეცა 20-22 კაცი პროგრამის 10-12 სახეობაში.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაშია საქართველოს 70 წამყვანი სპორტსმენი, რომელთაგან 15 მონაწილეობდა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში.

ოლიმპიური თამაშების გმირი და საბჭოთა კავშირის 1968 წლის საუკეთესო სპორტსმენი გახდა მძლეოსანი ვიქტორ სანეევი, კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა რომან რურუამ, ხოლო ვერცხლის პრიზიორები გახდნენ მოჭიდავე შოთა ლომიძე და ძალოსანი დიმიტრი შანიძე. ბრინჯაოს ოლიმპიური მედლით დაიმშვენეს მკერდი კალათბურთელებმა ხაკანდელიძემ და კოვალენკომ. ევროპის ჩემპიონები გახდნენ მოჭიდავეები ცხოვრებოვი, მარტყოფლიშვილი და ბლიაძე. 1968 წელი წარმატებით აღნიშნეს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა, რომლებმაც მრავალწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაიბრუნეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგივე დინამოელები თავიანთ შესაძლებლობებზე ნაკლები მაჩვენებლებით გამოვიდნენ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში. ისინი დამარცხდნენ გუნდთან, რომელიც თავისი კლასით ბევრად ჩამორჩება თბილისელ კალათბურთელთა თამაშს. ჩვენ ეს შევაფასეთ, როგორც კალათბურთის ფედერაციისა და გუნდის ხელმძღვანელთა მიერ მოთამაშეთა მიმართ მოთხოვნების შესუსტებისა და დისციპლინის შერყევის შედეგი.

მიმდინარე წელს ჭეშმარიტად გაგვახარეს ჩვენმა მოჭიდავეებმა, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ არგენტინაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. თავისუფალი სტილის მოჭიდავე ხუთი ფალავნიდან მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ ზ. ბერიაშვილი და შ. ლომიძე, ხოლო ტ. ალიბეგაშვილმა და ნ. ხოხაშვილმა ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა რ. რურუამ, მეორე ქართველი სპორტსმენი ომარ ბლიაძე კი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. აღსანიშნავია, რომ რ. რურუა და ნ. ხოხაშვილი სოფლის სპორტსმენთა საზოგადოება „კოლმეურნეს“ აღზრდილები არიან.

დასასრულ აღსანიშნავია ჩვენი სასიქადულო მოჭადრაკე ქალების ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას წარმატება. ნონამ ერთხელ კიდევ გვასახელა და მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა, ნანა ალექსანდრია კი მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები გარკვეულ წარმატებებს აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე. ფიზკულტურა და სპორტი დღითიდღე ვითარდება საქართველოში, მაგრამ ამჯერად ჩვენ ისეთ პასუხსაგებ ამოცანათა გადაჭრის წინ ვდგავართ, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დაუხმარებლად მათი შესრულება გაგვიჭირდება. ამხანაგო დეპუტატებო, თქვენი აქტიური მხარდაჭერა გვჭირდება.

მრავალმა თქვენგანმა იცის, მაგრამ ერთხელ კიდევ მოგაგონებთ, რომ მომავალი XX ოლიმპიური თამაშები ჩატარდება 1972 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მიუნჰენში. ამასთან თქვენთვის ცნობილია, რომ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ოლიმპიურმა ნაკრებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველად დაუთმო ლიდერობა აშშ-ს სპორტულ დელეგაციას. როგორც ხედავთ, მდგომარეობა სულ უფრო რთულდება და დაძაბული ხდება.

1936 წელს გერმანელმა ნაცისტებმა ბერლინის ოლიმპიური თამაშები თავიანთი იდეების პროპაგანდისათვის გამოიყენეს. დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი რევანშისტი არც ახლა გაუშვებს შემთხვევას, რომ მიუნჰენის ოლიმპიური თამაშები თავისი იდეების პოპულარიზაციისათვის გამოიყენოს. ასეთ პირობებში ჩვენ ყველა ღონისძიება უნდა გავატაროთ, რომ საბჭოთა სპორტსმენთა მიღწევებით ჩავფუშოთ რევანშისტებისა და ნეონაცისტების ზრახვები. სპორტულ სარბიელზე წარმატება კი დღითიდღე რთულდება. დღეისათვის აშშ-ს, დასავლეთ გერმანიისა და სხვა სახელმწიფოების მმართველი წრეები უამრავ თანხებს ხარჯავენ თავიანთ სპორტსმენთა მოსამზადებლად, ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებად კი ინიშნებიან გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწეები. მაგრამ, ამის მიუხედავად, საბჭოთა სპორტსმენებს და მათ შორის საქართველოს წარგზავნილებსაც შეუძლიათ და უნდა მიაღწიონ კიდეც წარმატებას. ამისათვის კი ყოველივე თქვენგანის საქმიანი, ენერგიული დახმარებაა საჭირო.

რა არის ჩვენთვის აუცილებელი?

პირველ ყოვლისა, ამხანაგო დეპუტატებო, დახმარებაა საჭირო ფიზკულტურასა და სპორტში ახალგაზრდობის ფართო მასების ჩასაბმელად და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თქვენი ყურადღება სპორტული ბაზების მშენებლობათა ქსელის გასაფართოებლად. სწორედ სპორტულ ბაზათა სიმცირე ამუხრუჭებს სპორტის მთელ რიგ სახეობათა განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ცურვას, მძლეოსნობას, ტანვარჯიშს, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშებისა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ სხვა სახეობებს. საკმარისია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში მხოლოდ ერთი დახურული აუზი გვაქვს. დამხმარე ნაგებობების დაფინანსება, როგორც გახსოვთ, წლების მანძილზე ფაქტიურად აკრძალული იყო.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს შეუძლიათ განახორციელონ სპორტნაგებობათა მშენებლობა, მაგრამ თქვენ იცით რამდენი დაბრკოლება წარმოიშობა ხოლმე ამ საკითხის ირგვლივ. აი, სწორედ აქ გვინდა, ამხანაგო დეპუტატებო, თქვენი ჩარევა და დახმარება ამ საქმეში. თუ ეს საკითხი აისახება დღევანდელი სესიის დადგენილებაში, სარგებლობა უდავოდ დიდი იქნება. მინდა მოგმართოთ ყურადღება გაამახვილოთ ისეთ ობიექტებზე, როგორიც არის თბილისის „დინამოს“ სტადიონი, რომლის რეკონსტრუქციის დამთავრება 1970 წლის ბოლოსთვის არის გათვალისწინებული; წყალჯომარდობის სადგური, ღია საცურაო აუზი გათბობით, რომლის ერთი აუზის გაშვება მაინც უნდა მოხერხდეს ნაცვლად იმ სამისა, რომლებიც დანგრეულ იქნენ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით. საჭიროა დასრულდეს სოხუმის საცურაო აუზის მშენებლობა და კეთილმოწყობა, რადგან ეს საკითხი ღია საკითხად რჩება წლების მანძილზე.

იგივე ითქმის ბათუმისა და ქუთაისის ტანვარჯიშულ კომპლექსურ დარბაზებზე, ქუთაისის, რუსთავის, მცხეთისა და ფოთის წყალჯომარდობის სადგურებზე.

თუ გავითვალისწინებთ სპორტის განვითარების მაღალ დონეს ჩვენს რესპუბლიკაში, აუცილებელია თანამედროვე სტილის სპორტულ ბაზათა მინიმუმი მაინც დიდ სარბიელზე გასასვლელად. აუცილებლად უნდა გვქონდეს სარბენი ბილიკები ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორში, რუსთავში, საცურავი აუზები გათბობით ფოთში, გორში, თელავში,

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოლიმპიური ბაზების დროულად დამთავრებას ლესელიძესა და ბაკურიანში. ჩვენ თხოვნით მივმართეთ დეპუტატებს, მშენებლობის მინისტრს, ამხანაგ ვაშაკიძესა და საქჰიდროენერგომშენის მმართველს, ამხანაგ ნიჟარაძეს, მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე დაასრულებინონ სამუშაოები საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების მომზადებისათვის გათვალისწინებულ ამ მნიშვნელოვან ობიექტებზე. მეორე მხრივ, სპორტის მასობრივი განვითარებისათვის 1970 წელს ყველა ფაბრიკა-ქარხანას, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელს უნდა ჰქონდეს მარტივი კომპლექსური ღია მოედნები, ხოლო არსებული ბაზები სამაგალითოდ უნდა იყოს კეთილმოწყობილი. ეს კი სპორტსმენებისა და კომკავშირელების საქმეა.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ ვლაპარაკობთ სპორტული ბაზების სიმცირეზე, მაგრამ საქმე მარტო მშენებლობა ხომ არ არის — მზრუნველობითა და სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ არსებულსაც.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: სიონის საშუალო სკოლამ ააგო ფეხბურთის სტადიონი, მაგრამ თევზჭერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ხალარიმ დაანგრია იგი და მის ადგილზე ავტოსადგომი მოაწყო. ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტული დარბაზი ავეჯის საწყობად აქციეს, ხოლო ზუგდიდის ერთ-ერთი სპორტსკოლის მცირე ოთახი, რომელიც ძალოსნებისათვის იყო განკუთვნილი, მეზობელი სასაუზმის ღვინისა და არყის საწყობად გადააკეთეს, სპორტული ინვენტარი კი ქუჩაში გამოყარეს. ამის შესახებ კრიტიკული სტატიით გამოვიდა გაზეთი „ლელო“, მაგრამ საქმის ვითარება დღესაც უცვლელია.

თბილისის 25-მეტრიანი საცურაო აუზი რამდენიმე წლის წინ მთელი დატვირთვით მოქმედებდა, მაგრამ უკანასკნელ ხანს აღარც წყლით ივსება და გარკვეულ რემონტსაც მოითხოვს. თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზების გათბობა დღემდე ვერ მოხერხდა და ეს ორი ჩინებული ბაზა უმოქმედოდ არის. თუ არ უპასუხისმგებლობას, აბა რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და „ცენტროლიტის“ საცურაო აუზები დღეისათვის ტექნიკური წყლისა და მაზუთის შესანახად არის გადაქცეული, ხოლო თბილისის არმიის სპორტული კლუბის სტადიონი მოითხოვს კაპიტალურ რემონტს, რაზეც მათი ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ.

აღნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელები და კომკავშირელები, როგორც ჩანს, დაინტერესებული არ არიან ფიზკულტურითა და სპორტით.

იქაურ კომკავშირელებსა და ხელმძღვანელებს მაგალითი უნდა აეღოთ ადიგენისა და ყვარლის კომკავშირელებისაგან, რომლებმაც თავიანთ შაბათობებზე კეთილმოაწყვეს სტადიონი და ახლა მარტივი ტიპის ნაგებობებს აწყობენ.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების მომზადებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, რომელთა აღზრდილებს არა ერთი და ორი სასახელო ფურცელი შეუმატებიათ საბჭოთა სპორტის მატიანისათვის. მაგრამ მთელ რიგ სახეობათა შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია უფრო ფართოდ ჩავაბათ სექციურ მეცადინეობაში გოგონები და ქალები, განსაკუთრებით, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები, რადგან პროცენტულად სპორტსმენი ქალები უმცირესობას შეადგენენ და ამას მარტო სიტყვით კი არა, პრაქტიკული ღონისძიებებით უნდა მივხედოთ.

უკანასკნელ ხანებში ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი წარმატებები სპორტის ისეთ კლასიკურ სახეობებში, როგორიც არის ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი, აგრეთვე, ჭიდაობის სახეობები და ფარიკაობა, სწორედ ეროვნული თამაშების ბაზასა და ტრადიციებზეა დაფუძნებული.

რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებანი და თვით საქმის არსებული მდგომარეობა ვალდებულს ხდის სპორტულ საზოგადოებებს განავითარონ და დანერგონ სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი ყველა სახეობა.

ყოველივე ამის ცხოვრებაში გატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტის ისეთი სახეობების განვითარებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში, როგორიც არის მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ველოსპორტი, თანამედროვე ხუთჭიდი, ძალოსნობა, კრივი და სხვ. ისეთ სპორტსაზოგადოებებში, როგორიც არიან „დინამო“, „ბურევესტნიკი“, „განთიადი“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“, „კოლმეურნე“ და სხვ., პროგრამული სახეობებიდან ფაქტიურად დღემდე არ არის კულტივირებული 4-5 სახეობა.

არ შეიძლება შევურიგდეთ იმ მდგომარეობას, რომ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის შეჯიბრებებზე ზოგიერთ სახეობაში თითო-ოროლა გუნდი მონაწილეობს. ეტყობა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს ავიწყდებათ, რომ საბჭოთა სპორტის სიძლიერე სწორედ მასობრიობაში მდგომარეობს.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სპორტსაზოგადოების ბიუჯეტი მეტისმეტად შეზღუდულია. ასე, მაგალითად, სტუდენტურ საზოგადოება „ბურევესტნიკს“ უმაღლეს კლასში ჰყავს 7 გუნდი, რომელთაგან მას მხოლოდ ორის ან სამის შენახვა შეუძლია. დანარჩენი გუნდების მომზადების ხარჯები კი მძიმე ტვირთად აწევს რესპუბლიკურ და თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ არც ჩვენ ვართ სახარბიელო მდგომარეობაში. თუ 1959 წელს სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი იყო 850 ათასი მანეთი, დღეისათვის ამის მესამედი გვაქვს. სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარი კი ყოველწლიურად ფართოვდება. საქართველოს მინისტრთა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები, მართალია, გამოუყოფენ ხოლმე დამატებით სახსრებს რესპუბლიკურ, თბილისისა და სხვა ქალაქების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს, მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება, თუ იგივე თანხა წლის დასაწყისშივე გვექნება ბიუჯეტში. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო დროულად და რაციონალურად დავგეგმოთ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი. ჩვენ გთხოვთ დაგვეხმაროთ ამ საკითხში და სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები 1970 წლისათვის განსაზღვროთ თუნდაც 1959 წლის დონემდე.

უკანასკნელ ხანს „საქსპორტვაჭრობის“ შექმნასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალაქებისა და მსხვილი რაიონული ცენტრების უზრუნველყოფა სპორტული ინვენტარითა და ფორმით. ამას ვერ ვიტყვით სოფლებზე, რომლებიც ჯერ კიდევ განიცდიან სპორტული საქონლის უკმარობას. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნება დაერთოს „საქსპორტვაჭრობას“ რაიონულ ცენტრებში გახსნას სპეციალიზებულ მაღაზიებში სექციები, ხოლო ცეკავშირმა გააფართოოს სპორტული საქონლით ვაჭრობა სოფლად.

ამ საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეისათვის, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ ახლახან მიიღო სპეციალური დადგენილება ასორტიმენტის გაფართოების, წარმოებისა და სპორტული და ტურისტული საქონლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

ამჟამად ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ამზადებს საკითხს საქართველოს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განსახილველად.

ამხანაგო დეპუტატებო! უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა ჩვენს რესპუბლიკაში. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული მისი ყველა ფორმა და მრავალფეროვნება, რაც უფრო ეფექტურს გახდიდა ჩვენს მუშაობას.

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები, რადიო და ტელევიზია ხშირად კმაყოფილდებიან მხოლოდ სპორტული ინფორმაციებით, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საშუალებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმე კი მივიწყებული აქვთ.

ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითს გვაძლევენ ცენტრალური გაზეთები „პრავდა“ და „იზვესტია“, რომლებიც ფიზკულტურასა და სპორტს ფართოდ და, რაც მთავარია, მრავალფეროვნად აშუქებენ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენმა მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლებმა, რომლებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სპორტულ თემატიკას.

ჩვენი რესპუბლიკა ამაყობს თავისი სახელოვანი სპორტსმენებითა და მწვრთნელებით, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი თავის სამშობლოს. ესენი არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. მათი მოღვაწეობის ასახვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში ეროვნული კულტურის საგანძურსაც გაამდიდრებდა და დადებითადაც იმოქმედებდა ახალგაზრდობის აღზრდაზე. მომავალი თაობა უნდა აღიზარდოს გმირობის, ნებისყოფის, შეუპოვრობისა და მორალური სიმტკიცის თვალსაჩინო მაგალითებზე.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, ჩვენს მრავალრიცხოვან სპორტის მოყვარულებს ემსახურება ერთადერთი სპორტული გაზეთი „ლელო“. ჭარბი ინფორმაციის გამო „ლელოს“, ცხადია, არ შეუძლია გააშუქოს რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობის პრობლემები. დიდი ხანია მომწიფდა საკითხი სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა მსგავსად საქართველოშიც გამოიცეს სპორტული ჟურნალი, მით უმეტეს, რომ ასეთი ჟურნალი ჩვენში ადრე გამოდიოდა.

ჩვენს სპორტის მოყვარულებს, ახალგაზრდობას უყვართ სპორტული წიგნები. როდესაც საჭირო ბროშურასა და წიგნს ისინი ჩვენს ქალაქში და რაიონებში ვერ პოულობენ, იძულებული არიან მოსკოვიდან და სხვა დიდი ქალაქებიდან გამოიწერონ ან ჩამოიტანონ. ვფიქრობთ, რომ ამ საქმეს მოაგვარებდა თბილისში სპეციალიზებული „სპორტული წიგნის“ მაღაზიის გახსნა, რომელიც რეგულარულად მოაწყობდა მკითხველების შეხვედრებს გამოჩენილ სპორტსმენებთან. „საქწიგნი“ დროულად და ენთუზიაზმით გამოეხმაურა ჩვენს წინადადებას, მაგრამ საქმე ახლა მცირე ზომის მაღაზიის გამოყოფაზეა. ვერ იქნა და ვერა ამ საქმის მოგვარება, რადგან მას არ აძლევენ ზემოხსენებულ ფართობს ქალაქის ცენტრში. ეს კი, ჩვენი აზრით, სასურველია და თუ იგი გამოყოფილი იქნება სპორტული საქონლის მაღაზიის გვერდით, ამით ნამდვილად სასარგებლო საქმე გაკეთდება, რადგანაც რაიონებიდან ჩამოსული ამხანაგები ისარგებლებენ ორივეთი.

მომწიფდა საქართველოს ტელევიზიის სპორტული რედაქციის სპორტულ გადაცემათა მთავარ რედაქციად გარდაქმნის საკითხიც, ვინაიდან მნიშვნელოვნად გადიდდა როგორც ინფორმაციული სახის, ისე სპეციალიზებული და მეთოდური მასალების მოცულობა. ვფიქრობთ, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი მხარს დაუჭერს ამ წინადადებას.

ამხანაგო დეპუტატებო! მოხსენებაში ლაპარაკი გვქონდა მთელ რიგ ნაკლოვანებებზე როგორც მასობრივ-გამაჯანსაღებელ ფიზკულტურულ მუშაობაში, ისე დიდ სპორტშიც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ნაკლოვანებები პირველ რიგში ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივსა და რესპუბლიკურ კომიტეტებს უნდა მიეწეროს.

ამხანაგო დეპუტატებო! მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად, ახლოვდება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის იუბილეც. რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ ამ შესანიშნავ თარიღებს.

ნება მომეცით ფიზკულტურელთა მილიონიანი არმიის სახელით სიტყვა მოგცეთ, რომ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ საბჭოთა სპორტის სადიდებლად და საკეთილდღეოდ!

მოსწავლეთა რესპუბლიკური



სპარტაკიადის დღიური

მაგიდის ჩოგბურთელებმა უკვე დაამთავრეს გუნდური პირველობა. ბოლო მატჩების შედეგები ასეთია: **უმცროსი ასაკის გოგონები.** თბილისი — აჭარა 3:2, სამხრეთ ოსეთი — ხაშური 1:3; **უფროსი ასაკის გოგონები.** თბილისი — სამხრეთ ოსეთი 3:0, აჭარა — სიღნაღი 3:1; **უმცროსი ასაკის ჭაბუკები.** თბილისი — აჭარა 2:3, რუსთავი — ფოთი 3:1; **უფროსი ასაკის ჭაბუკები.** თბილისი — აჭარა 3:2, რუსთავი — სამხრეთ ოსეთი 3:0. გუნდური ადგილები: **უმცროსი ასაკის გოგონები.** 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. ხაშური, 4. სამხრეთ ოსეთი; **უფროსი ასაკის გოგონები.** 1. თბილისი, 2. სამხრეთ ოსეთი, 3. აჭარა, 4. სიღნაღი; **უმცროსი ასაკის ჭაბუკები.** 1. აჭარა, 2. თბილისი, 3. რუსთავი, 4. ფოთი; **უფროსი ასაკის ჭაბუკები.** 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. რუსთავი, 4. სამხრეთ ოსეთი.

ხელბურთელთა შეჯიბრების II ტურში თბილისელმა გოგონებმა დიდი ანგარიშით მოუგეს შეხვედრა აფხაზეთის ნაკრებს—23:1. ფოთელებმა დაამარცხეს ქუთაისელი გოგონები — 17:14. **ჭაბუკები:** აჭარა — ქუთაისი 30:17, თბილისი — აფხაზეთი 26:19.

კალათბურთელთა მორიგი შეხვედრები ასე დამთავრდა: **გოგონები.** ქუთაისი—რუსთავი 49:45, აფხაზეთი — თბილისი 24:86; **ჭაბუკები.** გორი — აფხაზეთი 45:56, თბილისი — ქუთაისი 74:38.

თბილისელმა **წყალბურთელებმა** კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს: დაამარცხეს ქუთაისელები—8:2. აჭარის ნაკრებმა მოუგო აფხაზეთის წარმომადგენლებს — 5:3.

ფეხბურთელებმა II ტურის მატჩები გამართეს. I ქვეჯგუფში სამხრეთ ოსეთის გუნდმა მოუგო გორის ნაკრებს — 4:1, ხოლო თბილისელებმა აჯობეს რუსთაველებს — 7:1. II ქვეჯგუფში გამართული მორიგი შეხვედრები ფრედ დამთავრდა: აფხაზეთი — ქუთაისი 1:1, აჭარა — ფოთი 0:0.

ფრენბურთელთა მატჩების ტექნიკური შედეგები ასეთია: **გოგონები.** გარდაბანი — ქუთაისი 0:3, აფხაზეთი — რუსთავი 1:3, გარდაბანი — თბილისი 0:3, ქუთაისი — აფხაზეთი 3:0; **ჭაბუკები.** ქუთაისი — რუსთავი 0:3, გარდაბანი — თბილისი 0:3, ტყიბული — აფხაზეთი 0:3, რუსთავი — აფხაზეთი 3:2, თბილისი — ტყიბული 3:0, ქუთაისი — გარდაბანი 0:3.

ჩოგბურთელთა ასპარეზობა უკვე სამი დღეა მიმდინარეობს. გუნდური შეხვედრების შედეგები ასეთია: ჭიათურა — გორი 5:1, რუსთავი — ფოთი 5:1, თბილისი — აფხაზეთი 5:1, ქუთაისი — აჭარა 5:1, გარდაბანი — ჭიათურა 5:2, თბილისი — ჭიათურა 6:0, აჭარა — ფოთი 5:1, აფხაზეთი — გარდაბანი 5:1, ქუთაისი — რუსთავი 5:1.

მოჭადრაკეებმა დაამთავრეს III ტურის გადადებული პარტიები. III ტურის შეხვედრათა საბოლოო შედეგები ასეთია: ქუთაისი — II ჯგუფი (რაიონების ნაკრები) 4,5:3,5, აჭარა — აფხაზეთი 5,5:2,5. IV ტურში რაიონების ნაკრების მოჭადრაკეებმა დაამარცხეს აფხაზეთის გუნდი — 5,5:2,5, ხოლო თბილისელებმა — ქუთაისელები — 6:2. ბოლო ტურის წინ მდგომარეობა ასეთია: თბილისი — 16 ქულა (24-დან), ქუთაისი — 13 (32-დან), რაიონების ნაკრები — 13 (24-დან), აჭარა — 12 (24-დან), აფხაზეთი — 9,5 (24-დან). ქუთაისელებმა ტურნირი დაამთავრეს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელ და ქუთაისელ ხელბურთელ გოგონათა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ი. იუნაევისა.

ახალი ამბები

● **ბუქარესტი,** 10 ივნისი. ევროპის მოკრივეთა ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში მედლების გარდა სპეციალური პრიზებიც გათამაშდა. ვ. ტრეგუბოვმა დაიმსახურა პრიზი „ყველაზე სწრაფი გამარჯვებისთვის“, ხოლო დ. პოზნიაკმა — სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის განსაკუთრებული პრიზი, როგორც ბუქარესტის ჩემპიონატის საუკეთესო მოკრივემ. პოზნიაკს გადაეცა კიდევ ერთი ჯილდო: ბუქარესტის შეჯიბრების მონაწილეს, რომელსაც ევროპულ ჩემპიონატებში ყველაზე მეტი მედალი აქვს მოხვეჭილი.

● **ბეირუთი,** *10 ივნისი. ლიბანში სტუმრად მყოფმა მოსკოვის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მეორე მატჩიც მოიგო: ანგარიშით 97:37 დაამარცხა ადგილობრივი „ხომენეტმენი“ (პირველ თამაშში სტუმრებმა სძლიეს დედაქალაქის კლუბს „აბნა ნეპტუნს“ — 84:47).*

● **სტოკჰოლმი, 10 ივნისი.** ინგლისელმა მარათონელმა კ. უეიდმა ყველას აჯობა შვეციის ღია პირველობაში: 42 კმ 195 მ 2 საათში, 17 წუთსა და 42 წამში გაირბინა. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

● **ვარშავა,** 10 ივნისი. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის აქ გამართულ 68-ე სესიაზე ტრადიციული ყოველწლიური პრიზი პოლონეთის ოლიმპიურ კომიტეტს მიანიჭა, რომელიც თავისი არსებობის 50 წლისთავს ზეიმობს. ეს პრიზი თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის დამაარსებლის, ფრანგი პიერ დე კუბერტენის მიერაა დაწესებული 63 წლის წინათ. ამ საპატიო ჯილდოთი აღინიშნა ოლიმპიურ მოძრაობაში პოლონელ სპორტსმენთა აქტიური მონაწილეობა.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო

20^{45}

◆ მოსკოვი, *11 ივნისი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე პეტროსიან—სპასკის მატჩის* **XXI** *პარტია გადაიდო სპასკის უპირატესობით.*

◆ **ხარკოვი,** 10 ივნისი. ხუთი ქვეყნის ველოსიპედისტთა დღეს აქ დაწყებული საერთაშორისო შეჯიბრების საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველი ავიდა 20 წლის ვ. საბლუკოვი (ომსკი). 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში მან საუკეთესო შედეგი აჩვენა — 5.04,0. ომსკელმა ბოლო სერიაში აიღო სტარტი. სპრინტში უძლიერესი იყო თბილისელი ო. ფხაკაძე. ამ სახეობაში სტუმართაგან მხოლოდ პოლონეთის შარშანდელმა ჩემპიონმა ი. კოტლინსკიმ მიაღწია მეოთხედფინალამდე. 20 წრეზე 10 საშუალედო ფინიშით გუნდურ რბოლაში კოტლინსკიმ და ვ. ვოლკოვმა (სსრ კავშირი) ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ პოლონელმა ბოლო ფინიში წააგო და II ადგილი დაიკავა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ გდრ-ის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტები.

◆ **ბეკენემი,** *11 ივნისი. კენტის საგრაფოს ჩემპიონატში წარმატებით აიღეს ქალთა წყვილების შეჯიბრების სტარტი მოსკოველმა ჩოგბურთელებმა ო. მოროზოვამ და მ. ჩუვირინამ. პირველ წრეში მათ სძლიეს ძლიერ ავსტრალიურ დუეტს — დ. იანგსა და ვ. კილრისტს — 6:3, 8:6. ახალგაზრდულ ტურნირში პირველი გამარჯვებები ჩაიწერეს რიგელმა ზ. იანსონემ და მინსკელმა ვ. კაზაკევიჩმა.*

◆ **ოლშტინი,** 11 ივნისი. ცხენოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში წარმატებას მიაღწია ვ. მატვეევმა: საბჭოთა სპორტსმენმა ყველას აჯობა „სიზუსტეზე“ კონკურსში. ამ სახეობაში 27 მხედარი გამოვიდა, მაგრამ მხოლოდ ორმა — მატვეევმა და ფ. კაშტენმა (გდრ) უჯარიმოდ გაიარეს ტრასა. შემცირებულ ტრასაზე დამატებით შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგს მატვეევმა მიაღწია. პოლონეთის ამ ქალაქში ასპარეზობენ გდრ-ის, სსრ კავშირის, საფრანგეთის, გფრ-ის, უნგრეთისა და პოლონეთის ცხენოსნები.

8 ტურის შემდეგ

ბარნაული, 11 ივნისი. აქ გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა 37-ე საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალი. 8 ტურის შემდეგ ლიდერობს მოსკოველი დიდოსტატი ვ. ანტოშინი — 5,5 ქულა. თბილისელ ოსტატს თ. გიორგაძეს 4 ქულა აქვს. ბოლო ორ ტურში მან დაამარცხა ოსტატები ი. ესტრინი და ა. ზილბერშტეინი და VII-VIII ადგილებს იყოფს. სათამაშოდ დარჩა 9 ტური.

მესტენდურეები გზას დაადგნენ

მოსკოვი, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მესტენდურეთა ნაკრები გუნდი ოლიმპიური ჩემპიონის, მოსკოველი ე. პეტროვის ხელმძღვანელობით საფრანგეთს გაფრინდა. რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები ჩაებმებიან ევროპულ ჩემპიონატში, რომელიც ვერსალში ტარდება.

ნაკრების წევრთა უმრავლესობა უკვე გამოცდილია დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. გარდა პეტროვისა, მრგვალ სტენდზე სროლაში იასპარეზებენ სვერდლოვსკელები ი. ცურანოვი (მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში IV ადგილი დაიკავა), რ. პოლიანსკი და გ. სედინკინი, აგრეთვე, მოსკოველი ბ. ბულბა. ადგილიდან სროლაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოველები პ. სენიჩევი (მეხიკოში — IV ადგილი), ა. ალიპოვი, ი. გულიოვი, სოხუმელი კ. დარახელია, როსტოველი რ. კოსტილიოვი. ვაჟებში დებიუტანტები არიან მხოლოდ ალმაათელი ვ. ხეროვი (მრგვალ სტენდზე სროლა) და სარატოველი გ. ვლასოვი (ადგილიდან სროლა).

ოთხი იუნიორიდან, რომლებიც თავიანთ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზებენ, ასეთ დიდ შეჯიბრებაში პირველად გამოვლენ მოსკოველი ე. რაშიდოვი და ომსკელი ო. ბენეში (ადგილიდან სროლა), აგრეთვე, თბილისელი თ. მატოიანი (მრგვალ სტენდზე სროლა). ოლეგ ბენეშის ძმა ნიკოლოზი (მრგვალ სტენდზე სროლა) ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, მაგრამ ბრძოლებში უკვე გამოცდილია— იგი ქვეყნის რეკორდსმენია, სსრ კავშირის თასის მფლობელი და მოსკოვის შარშანდელი საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორი.

ქალთა შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდი წარმოდგენილია გამოცდილი სპორტსმენებით, რომელთაც უკვე ბევრჯერ უბრძოლიათ ევროპაში და მსოფლიოში უძლიერესთა ტიტულისთვის. ესენი არიან: ადგილიდან სროლაში — მოსკოველი ვ. გერასინა და კიროვოგრადელი ვ. ვერიგინა; მრგვალ სტენდზე სროლაში — დონის როსტოვის მკვიდრი ლ. გურევიჩი და ლენინგრადელი კ. სმირნოვა.

„ბრძოლა ძნელი იქნება, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ნ. პოკროვსკიმ. — გუნდურ ჩათვლაში პირველობისთვის ათი ქვეყნის წარმომადგენლები მაინც იბრძოლებენ. პირადი გამარჯვების მოპოვებას 35 სპორტსმენი მაინც ეცდება. საქმე ისაა, რომ სასტენდო სროლა თანდათან უფრო პოპულარული ხდება“.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

წაგების მიუხედავად...

„ა“ კლასი II ჯგუფი

IV ქვეჯგუფი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 10 ივნისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი)— „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0 (0:0).

„ლოკომოტივი“: ბერიძე, მირიანაშვილი (გეგეჭკორი), პანოვი, ფრიდმანი, ონიანი, ძაგანია, ჯორბენაძე, მაზიაშვილი, ბახტაძე, ხუციშვილი, ჭელიძე (მესხიძე).

„მეშახტე“: ბუაძე, ზაქარაია (აუშტროვი), ჩუბინიძე, ლორთქიფანიძე, ჯიმშკარიანი, მეპიაჩენკო, შარაშენიძე, ანდრიენკო, დავითულიანი, ქარქაშაძე, ჭითანავა.

მსაჯი ი. კუხიდი (ბათუმი).

ტყიბულის გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, „მეშახტემ“ წააგო მატჩი ქვეჯგუფის ერთ-ერთ ლიდერთან, მაგრამ, ჯერ ერთი, „ლოკომოტივმა“ ეს გამარჯვება ძალზე დაძაბული და მძიმე ბრძოლის შედეგად მოიპოვა, მეორეც, წაგებაც არის და წაგებაც. ტყიბულელები თამაშობდნენ თავისუფლად, დაუძაბავად, კარგი ურთიერთმოქმედებით, მაღალ ტემპში და მათი კონტრიერიშები მოულოდნელი და მწვავე იყო.

მაყურებელთა ყურადღება მიიპყრო „მეშახტის“ თავდამსხმელმა ქარქაშაძემ. უდავოდ, ეს ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელია, რომელმაც დაუღალავად უნდა ივარჯიშოს, რათა უმაღლესი ოსტატობის დონეს მიაღწიოს.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმი. ანგარიში გაიხსნა 57-ე წუთზე, მას მერე, როცა ძაგანიამ თავისი ინდივიდუალური გარღვევა ზუსტი, ძლიერი დარტყმით დაამთავრა.

ტყიბულელები კონტრშეტევებიდან მეთოდურ იერიშზე გადავიდნენ, მაგრამ ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი მომენტი. სამაგიეროდ, „ლოკომოტივმა“ 69-ე წუთზე მეორედ მიაღწია წარმატებას (ბურთი შორიდან გაიტანა მაზიაშვილმა).

ზ. ქორიძე.

«ლოკომოტივი» სამარჯვო ლიანდაგზე

ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი ორთვიანი შესვენების შემდეგ კვლავ განახლდა. გათამაშების ლიდერი — კიევის „ლოკომოტივი“ ჯერჯერობით იძულებულია მეტოქეების თამაშს ადევნოს თვალი. „ანტრაქტამდე“ მან 4 თამაშით მეტი ჩაატარა და ორ ახალ ტურამდე წინა ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა — რიგის „რადიოტექნიკამ“ უკვე გაუსწრო კიდეც: ბალტიისპირელმა ფრენბურთელებმა ოთხ შეხვედრაში 4 ქულა დააგროვეს — ორჯერ დაამარცხეს საპრიზო ადგილის პრეტენდენტი — ლუგანსკის „ზვეზდა“. ამასთან, მათ გუნდში არ თამაშობდა მთავარი ბომბარდირი, მეხიკოს ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო ფრენბურთელი ი. ბუგაენკოვი, რომელიც ტრავმის გამო ვერ გამოვიდა სარბიელზე. ბალტიისპირელები ყველა დანარჩენ შეხვედრას შინ ჩაატარებენ, რაც საგრძნობლად ზრდის მათს შანსს.

ქვეყნის ვიცე-ჩემპიონები — ალმა-ათის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელები ჩინებულად თამაშობენ. ცსკა-სა და აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდებთან შეხვედრებში მათ ოთხიდან 3 ქულა დააგროვეს. ეს შედეგი შეიძლება ასპროცენტიანიც ყოფილიყო, სტუდენტებს ზედმეტი თვითდაჯერება რომ არ გამოეჩინათ არმიელებთან ბრძოლაში. „ბურევესტნიკმა“ ორი პარტია მოიგო და მესამეშიც წინ იყო (13:6), მაგრამ მაინც წააგო პირველი მატჩი. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რა დიდია მოთამაშეთა განწყობილების როლი.

ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები — მოსკოვის არმიელები III ადგილზე არიან. ეს მნიშვნელოვანი პროგრესია შარშანდელი სატურნირო ცხრილის მეშვიდე საფეხურთან შედარებით. მაგრამ ცსკა წარმატებას აღწევს უმეტესად ორი მოთამაშის — გ. მონძოლევსკისა და ე. სიბირიაკოვის მონდომების წყალობით. როცა ვეტერანები იღლებიან, გუნდი თმობს გამარჯვებას.

წლევანდელი სეზონი შეუპოვარი მეტოქეობით, ტაქტიკური გამომგონებლობით გამოირჩევა. ბევრი უძლიერესი კლუბი იყენებს სიახლეს: საიერიშო დარტყმას უკანა ხაზიდან. ამას განსაკუთრებული წარმატებით ასრულებენ ოლიმპიელები — სიბირიაკოვი, ლუგანსკელი ვ. ბელიაევი და ალმაათელი ვ. კრავჩენკო. (საკდესი).

6 საათი ფრანით

სტოკჰოლმი, *10 ივნისი. 39 წლის შვედმა დურგალმა, ქალაქ ევლეს მკვიდრმა კ. ეკლევმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ფრანით ფრენის ხანგრძლივობაში.*

მან შუადღისას აიღო სტარტი თავის ქალაქში ფრანით, რომელიც სწრაფმავალ კატარღას მიჰყავდა ბუქსირით. ეკლევმა ჰაერში დაჰყო 6 საათი, 5 წუთი და 45 წამი, შემდეგ კი სტოკჰოლმის რაიონში დაეშვა (ძველი რეკორდი — 5.01,15 — 1964 წელს დაამყარა ამერიკელმა სპორტსმენმა).

კატარღას, რომელიც მგზავრიან ფრანს საშუალოდ 25 კვანძის სიჩქარით მართავდა, ჰქონდა ორი საკიდი ძრავა — თითოეული 55 ცხენის ძალის სიმძლავრისა. სპეციალისტთა აზრით, ფრენის დროს თითქმის იდეალური პირობები იყო. ქარის სიჩქარე წამში 2-4 მეტრს უდრიდა.

[illegible]

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 7 უე 04150